ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობის ფურცელი

59

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ორშაბათი, 5 თებერვალი № 1374

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

## „მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“

ერთად ღირს წელიწადში: ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის 11 მან., ქალაქ ტფილისის მცხოვრებთათვის 10 მანეთი. ფასის განაწილება: ხელის მოწერის დროს 6 მან.—ქალაქ გარეთ ხელის მომწერთათვის, ტფილისელ ხელის მომწერთათვის 5 მანეთი. შემდეგ აპრილის 1-ლს 3 მან. და ენკენისთვის 1-ლს 2 მანეთი.

„ცნობის ფურცელი“ ცალკე—წელიწადში 6 მან., ნახევარ წელიწადში 4 მან. და თვეში 75 კაპ.

ტფილისის კერძო

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

ვადმოეფვებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვების და წამლობა ელექტრონით — 9—10 ს.

ნ. ა მელიჩი — ყურისა, ყელის და ცხვირისა — 10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10—2 საათამდე.

ა. ნ. მაჭავარიანი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12—1 საათამდე.

.ზლ. მარკევიჩი სდოსტაქრო/ — 12 ½ 1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი — 1½—2 საათამდე.

მ. ი. ბეზირგანოვი — შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ა:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოოგლოვი. — შინაგანი (სტომაქი ავათმყოფობანი) და შიკრო ქიმიური გამოკვლევანი. — 5—6 საათზე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი

## ახალი ამბავი

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსდის ბევრ ვაჭრებისაგან საჩივრები რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოებებზე, რომელნიც, სარგებლობენ რა საქონლის უფასო გადმოზიდვით, აბრკოლებენ მათ ვაჭრობას, რადგანაც თავიანთ საქონელს ჰყიდიან საზოგადოების არა წევრებზედაც. ხსენებული სამინისტრო თანაგრძნობით მოეკიდა ამ საჩივრებს, მოლაპარაკება გამართა გზათა სამინისტროსთან და ამ მოლაპარაკებაში ის აზრი გამოჰყავს, რომ რკინის გზის მომხმარებელი საზოგადოებანი არ უნდა ჰყიდდნენ საქონელს გარეშე პირებზე და თუ ჰყიდიან, უფლება არ უნდა ჰქონდეთ უფასოდ გადაზიდონ რკინის გზებით თავიანთი საქონელი.

◆ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მიუმატოს ჯამაგირი სახალხო სკოლების მასწავლებლებს რუსეთის განაპირა ქვეყნებში.

◆ რადგანაც ერთ სამოსწავლო ოლქში ეჭვი აღიძრა კლასის დამრიგებელის თანაშემწისათვის საჭირო ცენზის შესახებ, საერო განათლების სამინისტრომ ახსნა, რომ იმ პირებს, რომელთაც შემოკლებულის გამოცდით შეუძენიათ სახალხო სკოლების მასწავლებლის უფლება, უფლება აქვთ მიიღონ კლასის დამრიგებლის თანაშემწის თანამდებობა.

◆ ჩვენ მოგვივიდა ჟურნალ „მოგზაურის“ მეორე ნომერი. ჟურნალში შემდეგი წერილებია მოთავსებული: 1) „მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი იმპერატორი ნიკოლოზ მე-II და იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული“ (სურათი), 2) „განთიადი“ (ლექსი), მ. გობეჩიასი; 3) „შეუსაბამო ცნობანი ისტორიაში“; 4) „კუმურდოს ტაძარი“, (2 სურ., გეგმით და 12 ძველის წარწერით); 5) „გლაუბერის მარილის ქარხანა“, (სურათით); 6) „გზა და გზა: ტფილისიდან საგარეჯომდის“ (3 სურ.); 7) „წმიდა მოციქულთასწორი ნინო“, ვინმე მესხისა (სურათით); 8) „ფარნაოზი“, (ისტორიული სურათები, დასასრული) მ. გობეჩიასი; 9) „სახალხო ლექსები—ყოფა-ცხოვრების გამომხატველნი“, ქართლში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ; 10) „ბეკიჩა ქაჯაია“, (ე. ლ—ძის ნაამბობი) სოფლის კაცისგან ჩაწერილი; 11) „სოლომონ ლეონიძე, მსაჯული მეფე ერეკლესი და საქართველოს რუსეთთან შეერთების მომზადების წვლილნი“, ი. მარუშიძისა; 12) „სამხრეთი საქართველო“, ზ. ჭ.; 13) „ჩვენი მეფეების სამწერლო მოღვაწეობა“, ა. ხახანაშვილისა; 14) „გურია“ კ. გვარამაძისა; 15) „ბიბლიოგრაფია“; 16) დამატება: „სახალხო ისტორია საქართველოსი“.

◆ გუშინ, 4 თებერვალს, დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრებაზედ, გამგეობის ახალ წევრებად ამორჩეულ იქმნენ ბ-ნნი ქურდიანი 23 ხმით, წინამძღვრიშვილი 23 ხმით, ჩიქვანი 19 ხმით და გ. ბერძნიშვილი 19 ხმით; ხოლო მათ კანდიდატებად მინდიაშვილი და მიკირტუმოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად ლ. ფურცელაძე, ს. ტარუაშვილი და ციბაძე; დამფასებლებად მ. ჩოლოყაშვილი, ჯანაშვილი და გლურჯიძე. დაწვრილებით ამ კრების ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

◆ როგორც იუწყებიან, ბათუმის ქალაქის თვით-მმართველობას განუზრახავს შუამდგომლობა აღძრას სათანადო მთავრობასთან იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს მას ისესხოს სათადარიგო თანხიდან 70,000 მანეთი; ამ ფულებით ქალაქის გამგეობას განუზრახავს ქალაქის სამკურნალოს მოსათავსებლად ააგოს შენობა.

◆ გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილება 14 მომავალს მარტს განიხილავს საქმეს აზ. ნესტორ წერეთლისა და პავლე აბულაძისას, რომელთაც ის დანაშაულობა ჰბრალდებათ, რომ მათის გაუფრთხილებლობით 1897 წლის დეკემბერს ლ. ხაშურში მატარებელმა გადაუარა მეისრე მეტრეველს და მძიმედ დაამტვრია.

## პროვინცია

**თელავი.** კვირას, 21 იანვარს, თელავის კლუბში იყო გამართული წარმოდგენა, თელავისავე წიგნთსაცავის სასარგებლოდ. წარმოადგინეს რუსულ ენაზე ვოდევილი: «Игра въ прятки» და «Дорогой поцѣлуй», ქართულად—ვოდევილი: «სიყვარული ეხლანდელი ქალისა», რადგანაც მიზანი წარმოდგენისა მეტად სიმპატიური იყო, წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო. წმინდა შემოსავალი წიგნთ-საცავს ასი მანეთი დარჩა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ყველა როგაინად თამაშობდა, მაგრამ საზოგადოების მოლოდინს გადააჭარბა ქ-ნმა ა. გლურჯიძის თამაშობამ. ეს ქალი წინად ეც გამოსულა სცენაზე და საზოგადოების ყურადღებაც მიიქცია. ისე თამამად გამოვიდა სცენაზე, რომ იფიქრებდით დახელოვნებული არტისტი ქალია... თამაშობდა მაშოს როლს «ახალგაზდა ქალის სიყვარულში», ეტყობა კარგი, რომ თამაშობის ნიჭი აქვს.

მოთამაშეთ, როგორც გავიგეთ, განუზრახავთ ამ ცოტა ხანში გამართონ წარმოდგენა პროფესორის ვ. პეტრიაშვილის სახელობაზე სტიპენდიის დასაარსებელი ფონდის გასაძლიერებლად. ვუსურვებთ ამ აზრის განხორციელებას და იმედიც გვაქვს, რომ საზოგადოებაც საკმარისად დაესწრობა. მხოლოდ ერთი რამ უნდა იქონიონ მხედველობაში პატივცემულთ მოთამაშეთ: ყველას კარგად მოეხსენება, რა უცხო სტუმარია ქ. თელავში წარმოდგენები; ამიტომ პიესების ამორჩევას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. 21 იანვრის წარმოდგენაზე გვაცინეს, გვაცხარხარეს, წავედით შინ და მეორე დღეს აღარც კი გვახსოვდა შინაარსი პიესებისა. მგონი ეს არ უნდა იყოს დანიშნულება წარმოდგენისა. ძალიან კარგი იქნება, თუ ამას მიაქცევენ პატივცემულნი მოთამაშენი ყურადღებას, რადგანაც შრომა შრომათ იკარგება და სარგებლობა კი გაცილებით გაარჩევა ერთი მეორისაგან.

მაყურებელთაგანი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ «პარი ნუველ»-ის კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ლონდონის პოლიტიკურ წრეებში დარწმუნებულნი არიან, ვითომ ეხლანდელი სამინისტრო დიდხანს არ დარჩება სამსახურში. ლორდი სოლსბერი ძალიან მალე გავა სამსახურიდან, მაგრამ ჩემბერლენს არასოდეს არ მისცემენ პირველ მინისტრის ადგილს. მეფეს, როგორც ეტყობა, ჰსურს ბალფური დასვენოს ამ ადგილას, მაგრამ პირველს მინისტრს საბოლოოდ აირჩევენ მხოლოდ კონსერვატორ-უნიონისტების დასის საზოგადო კრებაზე. მაშინ გამოჩნდება თუ რამდენად სძულთ ჩემბერლენი თითონ კონსერვატორებსაც კი. ამიტომ ახალი პირველი მინისტრი იძულებული იქნება ხელი აიღოს ჩემბერლენის პოლიტიკაზე.

✿ ერთი გერმანული გაზეთის კორესპონდენტი წმ. ელენეს კუნძულზედ უთვილა წარსული წლის ბოლოს, უნახავს გენერალი კრონიე და საუბარიცა ჰქონია იმასთან. კორესპონდენტი შემდეგს იწერება:

«ტყვე ბურები ეხლა ძალიან გახარებულები არიან. შობის მესამე დღეს ვნახე გენერალი კრონიე. ესეც ძალიან კაი გუნებაზედაა. იმან სიხარულით მითხრა: «როცა გავიგე, რომ ბურები კაპის ახალშენს შეესევიან, ბრისტოუნი დაუწვრიათ და დეაარს ემუქრიან, უყოყმანოდ ვსთქვი, რომ წლევანდელი შობის დღესასწაული დიდად სამხიარულო ბედნიერ-დღეა ჩვენთვისაო.

გენერალ კრონიეს გაგებული ჰქონდა ეგრეთვე ლორდ სოლსბერისს სიტყვები: «არავითარი მსხვერპლის წინ არ უნდა დაიხიოს ინგლისმა, რათა საბოლოოდ გაიმარჯვოს ბურებზე». ამ სიტყვებს მეტად გაემხიარულებინათ გენერალი კრონიე. ის ამ სიტყვებს სასოწარკვეთილების დადად სთვლის».

✿ 5 თებერვალს, ახალი სტილით, გერმანიაში ფრანკფურტში-მაინზედ მოხდა ბურების სასარგებლოდ დიდი კრება, რომელზედაც 6000 კაცზედ მეტი დაესწრო. კრებამ დაადგინა მიჰმართოს ინგლისის ერის კაცთ-მოყვარეობის გრძნობას და ურჩიოს ინგლისის მთავრობას, რომ ამ მთავრობამ, რაც შეიძლება, მალე მოსპოს სამხედრო მოქმედება სამხრეთ-აფრიკაში.

✿ შვეიცარიაში ქალ. ბერნში ბურების ქვრივებისა და ობლების სასარგებლოდ 5159 ფრანკი მოუგროვებიათ.

ამავე მიზნისათვის ნევშატელშიაც მოუგროვებიათ 4255 ფრანკი.

✿ ერთ გერმანულ გაზეთში დაბეჭდილია ამ დღეებში გამოცხადებული ინგლისის სამხედრო სამინისტროს ბრძანება:

«სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ ინგლისის ჯარის ყველა ვოლონტიორებისაგან უნდა შესდგეს ცალკე კორპუსი. შემდეგ სამხედრო სამინისტრო ბრძანებას იძლევა, რომ სამხრეთ აფრიკაში ყოველ ჯარის კაცს უნდა ჰქონდეს ზედა 50 ჩვეულებრივი პატრონი და 35 პატრონი «დუმ დუმ» (ეს პატრონი სკდება, როცა ადამიანის სხეულში შედის). ოფიცრებსაც ეძლევათ ბრძანება, რომ რევოლვერებისათვის «დუმ-დუმის» ტყვიები იქონიონ».

გაზეთი ამბობს, რომ ეს ბრძანება აშკარად არღვევს ჟენევის კონვენციას, რომლითაც აკრძალულია ამისთანა ტყვიების ხმარება. ამიტომ, —ამბობს გაზეთი,— ამ ბრძანების წინააღმდეგ ყველა განათლებულმა ერებმა პროტესტი უნდა გამოაცხადონ.

✿ ამსტერდამიდან სწერენ «პარი ნუველის» სააგენტოს:

«ვან ელოფს, კრიუგერის სიძის ძმას, ამბავი მოუვიდა ტრანსვაალიდან, რომ იმისი ცოლი და თოთხმეტი დახვრიტეს ინგლისელმა ჯარის კაცებმა. ინგლისელი ჯარის კაცების რაზმი მისულა ფერმაზედ და ამ ქალის ქმარი ტყვედ წაუყვანიათ. ცოლი არ ანებებდათ ქმარს და ჯარის-კაცები მოთმინებიდან გამოსულან და თოფი უსროლიათ. ორი ტყვია თავში მოჰხვედრია საბრალო ქალსა და იქვე უსულოდ დაცემულა.

✿ ჰააგიდან იწერებიან, რომ პრეზიდენტმა კრიუგერმა გაუგზავნა დედოფალ ვილჰელმინას 300-ზედ მეტი მადლობის წერილი ბურებისაგან. დედოფალს ძალიან ესიამოვნა ამისთანა მოულოდნელი მილოცვა და სთხოვა პრეზიდენტ

კრიუგერს, რომ მადლობა გადუხადოს ბურებს იმის მაგივრად.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

3 თებერვალი.

**პეტერბურგი.** გოლენკოსა და დოლინას გუშინდელ სასულიერო კონცერტს, რომელიც გამართული იყო „ბავშვების თავ-შეთავ-შესაფარ“ საზოგადოების სასარგებლოდ დიდის მთავრინების ქსენია ალექსანდრეს ასულის და მარიამ გიორგის ასულის მფარველობით, დიდძალი საზოგადოება დაესწრო. შეკრებილია 13,000 მან.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოუცხადა რუსეთის ელჩს, რომ რუსეთის შაქარს დაედო საკომპენსაციო ბაჟი.

**კაპშტადტი.** ადგილობრივ მკვიდრთ შესწყვიტეს მუშაობა შავი ჭირის გაჩენის გამო. 5,000-მა მკვიდრმა გამოუცხადა მთავრობას, რომ შავი ჭირის მიზეზით ისინი უარს ამბობენ მუშაობაზედ და ჰსურთ დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში; მმართველობა არ იძლევა ნებას; მუშაობა შეჩერებულია.

**კრონბერგი.** გერმანიის ქვრივი დედოფალი უკეთ არის.

**სოფია.** კრებაზედ, რომელიც მოიწვია აქაურმა მსროლელთა საზოგადოებამ და რომელსაც დაესწრო ათასამდე წევრი, დაადგინეს—ეთხოვოს მთავრობას ნუ დახურავს საზოგადოებას და დაამტკიცოს მისი წესდება.

4 თებერვალი

**პეტერბურგი.** 3 თებერვალს ჟურნალ «Міръ Искусства»-ს მესამე გამოფენა დაათვალიერეს ხელმწიფე იმპერატორმა და ჰესსენის დიდმა ჰერცოგმა ერნსტმა.

**ლონდონი.** კიტჩენერი დეაარიდან დეპეშით იტყობინება: „გუშინ განთიადამდე დევეტის ჯარები გადავიდნენ რკინის გზაზედ ბარტმასაიდინგთან დეაარის ჩრდილოეთით. პლუმერი მტერს კვალ-და-კვალ მისდევდა. ჯავშნიანი მატარებლები, რომელთაც განაგებდა პოლკოვნიკი კრაბბე, ცდილობდნენ დაეშალათ მტრისთვის რკინის გზაზედ გადასვლა. მაინც ბურებმა ააფეთქეს რკინის გზის ლიანდაგი იმ ადგილის ჩრდილოეთით და სამხრეთით, სადაც თვითონ გადავიდნენ. ინგლისელებმა დავლად აიღეს 20 ფურგონზე მეტი სამარი სურსათი, 1 ზარბაზანი მაქსიმის სისტემისა და 100 ცხენზედ მეტი; 20 ბური ტყვედ არის წაყვანილი. ინგლისელები სდევნიან ბურებს“.

**პეკინი.** დღეს ხელი მოაწერეს იმ ხელშეკრულობაზედ, რომლის ძალით შანჰაიგუან-პეკინის რკინის გზა 8—16 თებერვლიდან ინგლისელების ხელში გადავა.

**სოფია.** ბოლგარიის მთავრის მემკვიდრე ბორისი უფრო ცუდად გახდა.

პეტროვის სამინისტრომ სამსახურს თავი დაანება, რადგანაც ის თავისს მიზანს არჩევნების შესახებ მიღწეულადა სთვლის.

**პეკინი.** ჩინეთის რწმუნებულებმა შეატყობინეს იმპერატორის სახლობას, რომ ელჩების უკანასკნელი დადგენილება უეჭველად უნდა ასრულდეს, ხოლო ტუნფუსიანის შესახებ დადგენილების აღსრულება ჯერ-ჯერობით შეიძლება გადაიდოსო.

ვალდერზეე ფორმალურად უარ-ჰყოფს იმ ამბავს, ვითომც გერმანიის ჯარები ჩინეთიდან წამოსვლას აპირებდნენ; ის აცხადებს, რომ ერთის ჯარის-კაცის გაგზავნაც კი არ შეუძლიან, ვიდრე ამის ნება-რთვა ბერლინიდან არ მოუვა, ხოლო ამნაირი ბძანება მას არ მოჰსვლია.

**ბერლინი.** ის ცნობა, ვითომც გენერალ-ადიუტანტი პეტერბურგში მიდიოდეს ზოგიერთ უთანხმოებათა ასაცილებლად, ყოველს საფუძველს მოკლებულია, ორადგანაც არავითარი უთანხმოება არ არსებობსო.

**ვაშინგტონი.** რუსეთის ელჩმა მიართვა მაკ-კინლეის ალბომი, რომელშიაც შეკრებილია რუსეთის იმპერატორის დაგვირგვინების სცენების სურათები. მაკ-კინლეიმ დაავალა ელჩს—მადლობა გამოუცხადოს რუსეთის იმპერატორს.

**ფილიპოპოლი.** ბოლგარიის მთავრის მემკვიდრეს ბორისს ხელ ახლად გამოაჩნდა წითელა; ამას გარდა მარჯვენა ფილტვში გამოაჩნდა ბრონხიტის ცხადი ნიშნებიც. პროფესსორი ეშერიხი ფილიპოპოლში მოვიდა.

**კარლოვიცი.** სწრაფლი მატარებლით აქ მოასვენეს მილანი: სადგურზედ საპატიო დარაჯები დაჰხვდნენ და სამხედრო პატივი სცეს. მუზიკამ დაუკრა სერბიის სამეფო ჰიმნი. სადგურიდან ცხედარი მიასვენეს სამიტროპოლიტო ეკკლესიაში, სადაც პატრიარქმა აუარებელის სამღვდელოების თანადასწრებით გადაიხადა პანაშვიდი; პანაშვიდის დროს ყველა სამრეკლოებზე რეკავდნენ ზარებს. ნაშუადღევის 1 საათზე ცხედარი მიასვენეს კრიუშედოლის მონასტერში და დაკრძალეს.

**ვაშინგტონი.** ფინანსთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარმა გეჯმა დაადგინა ბელგიის შაქარზედ მოემატოს დამატებით ბაჟს პრემიის მიხედვით.

**ნიუ-იორკი.** მთავრობის გაზეთი „ნიუ-იორკ ტრიბუნ“ იხილავს რუსეთის შაქარს ბაჟის დადების კითხვას, შეეხება სხვა და სხვა გაზეთის ლაპარაკს სადამოჟნო ბრძოლის შესახებ და, დასასრულ, ამბობს: „არავითარი მუქარა, რომ სადამოჟნო ომი დაიწყებაო, ვერ იქონიებს გავლენას ჩვენ მოქმედებაზედ. ჩვენ მოვალენი ვართ გერმანიის და სხვა ერებს შეუსრულოთ ჩვენი სიტყვა. შეერთებულმა შტატებმა რომ ხელი შეუწყონ რუსეთს და ამით ავნონ გერმანიის ინტერესებს, უეჭველია ეს გამოიწვევს გერმანიის მხრივ სამაგიეროს გადახდას, და გერმანიასთან სადამოჟნო ომი გაცილებით საზარალოა შტატებისათვის, ვიდრე რუსეთთან. ჩვენი ურთიერთობა გერმანიასთან გაცილებით დაახლოვებულია, ვიდრე რუსეთთან; ჩვენ გერმანიაში 18-ჯერ მეტი საქონელი გაგვაქვს, ვიდრე რუსეთში. ჩვენი ინტერესები თხოულობენ—ვიზრუნოთ, რათა უფრო უკეთ იქმნას დაცული საალებ-მიცემო ურთიერთობა გერმანიასთან, ვიდრე რუსეთთან, მაგრამ შაქარზე ბაჟის შემოღების გადაწყვეტის დროს საჭიროა შესაფერი ნდობა, ხელშეკრულობათაგან გამოწვეულ მოვალეობათა აწონ-დაწონვა, სატარიფო კანონების დაცვა. ეს, უეჭველია, ასეც მოხდება და, ამნაირად, ყოველივე მითქმა-მოთქმა ომის შესახებ საფუძველს დაჰკარგავს.

| რედაქტორი | გამომცემელი |
|---|---|
| ალ. ჭყონია. | ალ. ჯაბადარი |

# გამოსადეგი ცნობანი

### პეტერბურგის ბირჟა 1 თებერვალს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,90 |
| ბერლინზე 100 მარკაში | $45,92^1/_2$ |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,40 |
| ლონდონზე ჩეკები | 94,90 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | $37,62^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | 5,6—7,2% |

| | მყიდვ. | გამყ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | მ | ა ნ ი | თ ი. |
| 4% სახელმწიფო რენტა | — | — | $96^1/_8$ |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | $99^3/_4$ | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა | — | 96 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | — | — | $333^1/_4$ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | — | — | $292^1/_2$ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | — | — | 217 |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | — | — | 89 — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ | — | — | $93^7/_8$ |
| $4^1/_2$% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა | $86^1/_2$ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ | 100 | - | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | $92^1/_2$ | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | $93^5/_8$ | — | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — | — | — |

### ნიხრი

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | $8^1/_2$ კ. |
| სუკი | » — | 15 კ. |
| » ცხვრისა | » — | $8^1/_2$ კ. |
| » ღორისა | » — | 9-11 კ. |
| » კამეჩისა | » — | 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთ | » — | 14 კ |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გირ. | 5 კ. |
| » » | II | » | » | » | $3^1/_2$ კ. |
| » » | III | » | » | » | 3 » |
| იგივე თონისა | I | » | » | » | 5 » |
| » » | II | » | » | » | 4 » |
| » » | III | » | » | » | $3^1/_2$ » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | » | 6 » |
| » » » | II | » | » | » | 4 » |

### ტფილისის ბაზრები:

| | გაიყიდა მეიდნებზე: | | | ვოკზალზე: | |
|---|---|---|---|---|---|
| | ფუთი. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| ხორბალი საუკეთესო | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| » წითელი | 1 | 1 | 15 | — | — |
| ქერი | 1 | — | 70 | — | — |
| სიმინდი | 1 | — | 65 | — | — |
| ფქვილი სოფლისა | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო | 1 | — | 30 | — | — |
| კარტოფილი | 1 | — | 65 | — | — |
| ხახვი | 1 | — | 40 | — | — |
| თივა | 1 | — | 25 | — | — |
| ბზე | 1 | — | 23 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მან., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. — კაპეიკიდან 4 მ.-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. — კ.-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 კ.-მდე, ხარი შესაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ., კამეჩი საკლავი 26 მ.-დან 34 მანეთამდე.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | | ხარისხი. | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 0—9 | მან. | — კ. | № 4—6 | მან. | 75 კ. |
| № 1—8 | » | 25 » | № 5—6 | » | 50 » |
| № 2—7 | » | 75 » | № 6—6 | » | — » |
| № 3—7 | » | 25 » | № 7—5 | » | 75 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კაპ. ქერი როსტოვში 50 კ.-დამ 57 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 59 კაპ. 60 კაპეიკამდე.

| | | |
|---|---|---|
| მოტანა ტფილისამდე 1 ფუთისა | —87 | კ. |
| შაქარი იქვე ფუთი | 6 მან. 80 | » |
| » ფხვნილი » | 5 » 30 | » |

მატყლი ისპანიური თეთრი—ფუთი გაუსუფთავებელი 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 75 კ. —4 მ. — კ., გარეცხილი — მან. — კაპ. ისპანიური ჯიშის ცხვრის ტყავი თითო — მ. — კაპეიკამდე

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ — ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. ... წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 საათ. 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 საათ. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან ... (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

### საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის საძკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბარსა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-...როვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიაზე, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხსა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

...გალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი — ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტომანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად

## ლექსები
## დავით გაბრუაშვილისა

ფასი ხუთი შაური.

ვინც ოც ცალზე მეტს იყიდის ნაღდზე მანეთზე ხუთი შაური დაეთმობა.

უმთავრესი საწყობი: „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

(10—6)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Февраля 1901 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27.